

დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

1. სადოქტორო პროგრამა - ეკონომიკა
2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი - ეკონომიკის დოქტორი
3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით - 180 (ECTS) კრედიტი, მათ შორის:
- სასწავლო კომპონენტი - 60 კრედიტი
 - კვლევითი კომპონენტი - 120 კრედიტი

სასწავლო კომპონენტი შედგება სპეციალობის (48 ECTS) სავალდებულო და (12 ECTS) არჩევითი ელემენტისაგან. კვლევითი კომპონენტი კი (120 ECTS) სავალდებულო ელემენტისაგან.

სადოქტორო პროგრამის რეალიზაციის სტანდარტული ვადაა 3 წელი, ანუ – 6 სემესტრი. სემესტრში – 30 კრედიტი,

სადოქტორო პროგრამის სტრუქტურაში ჩამოყალიბებული სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების ელემენტები უზრუნველყოფილია. ამასთან, პროგრამა იძლევა სტუდენტის ინდივიდუალური თემის გათვალისწინებით საგნების არჩევის შესაძლებლობას პირველი ორი სემესტრის განმავლობაში.

პროგრამის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია მისი კვლევითი კომპონენტი (120 ECTS). იგი მოიცავს:

- ა. სადისერტაციო კვლევის ინდივიდუალური გეგმის მომზადება/პროსპექტუსი (18 ECTS). მოიცავს საკვლევი დისერტაციის შესავალ ნაწილს: აქტუალურობა, მიზანი, ამოცანები, კვლევის საგანი და ობიექტი, კვლევის მეთოდოლოგიური ბაზა, კვლევის მოსალოდნელი შედეგები, დისერტაციის დასრულების სავარაუდო გრაფიკი და სტრუქტურა, ბიბლიოგრაფიის დამუშავება;
- ბ. თეორიულ-ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი: (72 ECTS-24+24+24). კოლოქვიუმის წარმოდგენა ხდება წერილობითი ფორმით, კომუნიკაცია სამეცნიერო საზოგადოებასთან და დარგის სპეციალისტებთან კი პრეზენტაციის სახით. კოლოქვიუმის მიზანია დოქტორანტის

მიერ წარმოებული კვლევების ცალკეული ნაწილის წარმოდგენა/პრეზენტაცია, რომლის დროსაც სტუდენტს ეძლევა საშუალება პირდაპირი კომუნიკაცია დაამყაროს აუდიტორიასთან. წარმოაჩინოს კვლევის შედეგები და გამოიმუშაოს პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევები წარმოდგენილი ცალკეული დასკვნების დასაცავად.

გ. სადისერტაციო ნაშრომის დასრულება და დაცვა (30 ECTS). კვლევითი კომპონენტის ეს ნაწილი ფრიად მნიშვნელოვანია და გადამწყვეტია. დოქტორანტის მიერ აღნიშნული კრედიტების ფარგლებში ხდება კვლევის დასრულება. შესაბამისად, ვლინდება მეცნიერულად დასაბუთებული ახლი შედეგები, მეცნიერული სიახლეები.

4. სწავლების ენა - ქართული ენა

5. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი

- **რევაზ ხარებავა** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრული პროფესორი

6. პროგრამაზე მიღების წინაპირობები

- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი .
- შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა უცხო ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) -B2 დონე;
- დოქტორანტურაში მიღების წესი შეგიძლიათ იხილოთ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.sou.edu.ge.; ან მოითხოვოთ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანატში. მისამართი, თბილისი, ანა პოლიტკოვსკაია №9.; ტელეფონი: 254-14-22.; 254-14-37.

7. პროგრამის მიზანი

მეოცე საუკუნის 90-იან წლებსა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში მნიშვნელოვნად შეიცვალა მსოფლიო საზოგადოებისა და ეკონომიკის სტრუქტურა, ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები, საზოგადოებრივი ინსტიტუტების როლი ცხოვრებაში. გამოიკვეთა ცივილიზაციის სოციალურად ორიენტირებისა და ჰუმანიზაციის მიმართულების გაძლიერების აუცილებლობა, ამავდროულად, განვლილ პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად რთულდება საზოგადოების მიზანმიმართული მოქმედება, რომელიც მიმართულია ეკონომიკურ პროცესებზე სოციალურ ურთიერთობათა ჰუმანიზაციისაკენ.

საზოგადოების მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დონის ამაღლებაში სოციალურ-ეკონომიკური დისციპლინების სწავლების საქმეში სულ უფრო და უფრო იზრდება ეკონომიკის ადამიანზე ზრუნვის ფუნქცია, ძლიერდება წესრიგის ფაქტორების გავლენა ეკონომიკურ პოლიტიკაზე. ეკონომიკურ ურთიერთობათა ლიბერალიზაციასთან ერთად ყველა დონეზე ფართოვდება მარეგულირებელი წესების, ნორმების, სტრუქტურების როლი და ფუნქციები. ეკონომიკის მიკრო და მაკრო დონეებზე საქმიანობის წარმატება დამოკიდებული ხდება ეკონომიკური ცოდნისა და მეცნიერების განვითარების ფაქტორებზე, განსაკუთრებით, სახელმწიფო პოლიტიკაზე, რომელიც მთელი საზოგადოების ნების გამომხატველად, მისი კეთილდღეობის გარანტიად მოიაზრება.

იზრდება და რთულდება ადამიანებს შორის ურთიერთობები, შედეგად, უფრო ხშირ ხასიათს ღებულობს ეკონომიკურ სუბიექტებს შორის ინტერესთა კონფლიქტი, ამიტომ, თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკა უნდა ხასიათდებოდეს რაციონალობის მაღალი კულტურით, სოციალური და ეკონომიკური პროცესების რეგულირების მაღალი ხარისხით, ამავდროულად, უნდა გამორიცხავდეს უხეშ მეთოდებს, ძალადობას, ემყარებოდეს მეცნიერებისა და კულტურის მაღალ მიღწევებს და ვითარდებოდეს კონკრეტული ადამიანის კეთილდღეობის ამაღლებისაკენ.

ამ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტების ტოტალური ტრანსფორმაციის შედეგად წარმოქმნილი პრობლემების კვლევას და გარდამავალი პერიოდის სპეციფიკური პირობების ბერკეტების შემუშავებას, ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის განვითარებას, შესაბამისი კადრების მომზადებას. აქედან გამომდინარე, დღეისათვის და, განსაკუთრებით, პერსპექტივისათვის გამოიკვეთა მათი მნიშვნელობის ზრდა. შედეგად, აუცილებელი ხდება შესაბამისი კვალიფიცირებული კადრების მომზადება სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებში და სა-ხელისუფლებო ორგანოებში, ეკონომიკის დარგებში, რეგიონულ სტრუქტურებში მუშაობისათვის, ასევე, უმაღლესი განათლების სისტემაში აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის დაკომპლექტების მიზნით. ყოველივე ეს უნდა ხდებოდეს სისტემური პროგრამული ღონისძიებების საფუძველზე, რასაც ემსახურება შემოთავაზებული პროგრამა.

სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს კადრების მომზადებას, ძირითადად, შემდეგი მიმართულებებით: მიკრო- და მაკროეკონომიკური თეორია, ეკონომიკური განვითარების სტაბილიზაციის ასპექტები, ზოგადი და სტრუქტურული ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებები (სოციალური პოლიტიკა, ინოვაციური პოლიტიკა, ინვესტიციური პოლიტიკა, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, სამრეწველო პოლიტიკა, დარგობრივი ეკონომიკები, ფირმის ეკონომიკა და ეკონომიკის სხვა აქტუალური პრობლემების გადაწყვეტის ეკონომიკური პოლიტიკა).

8. პროგრამის შედეგები

- **ცოდნა და გაცნობიერება**

კურსდამთავრებულს გააჩნია ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნა, მაღალი ეკონომიკური აზროვნების უნარი, პრაქტიკული კვლევის მეთოდებისა და მეთოდოლოგიის მყარი ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა, კერძოდ, შეისწავლა:

- კვლევის თანამედროვე ინოვაციური მეთოდები და ხერხები;
- შეიმუშავა სწავლების თანამედროვე პროგრესული მეთოდები;
- სავალდებულო ეკონომიკური დისციპლინები: თანამედროვე ეკონომიკური თეორიები, ეკონომეტრიკა.

- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

კურსდამთავრებულს მიღებული ცოდნის საფუძველზე შეუძლია ეკონომიკური განვითარების სტაბილიზაციისა და ზრდის პრობლემების კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება. ამასთან ერთად, შეუძლია წარმატებით თავი გაართვას ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებების კვლევას, შეიმუშავოს შესაბამისი რეკომენდაციები, რომელიც წადგება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, შეუძლია ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა; ამასთან ერთად, თავის კვლევის ობიექტიდან გამომდინარე, შეუძლია შეიმუშაოს პრაქტიკის მოთხოვნის შესაბამისი წინადადებები და რეკომენდაციები, რომელთა გამოყენება შესაძლებელი იქნება ქვეყნის სამთავრობო, კომერციულ სტრუქტურებში, სამეცნიერო-კვლევით და უმაღლესი განათლების სფეროში, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებში ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში.

- **დასკვნის უნარი**

კურსდამთავრებულს მიღებული ცოდნისა და გამომუშავებული უნარების საფუძველზე შეუძლია რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რაც საშუალებას აძლევს შეიმუშაოს როგორც მთლიანად ეროვნული ეკონომიკის, ასევე ცალკეული დარგებისა და ფორმების განვითარებისათვის საჭირო და აუცილებელი მეთოდოლოგიური და მეთოდური საფუძვლები. კურსდამთავრებულს შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს სწორი და ეფექტური მმართველობითი გადაწყვეტილებები სახელმწიფო, მუნიციპალური და დარგობრივი ეკონომიკის დონეზე.

- კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებულს განუვითარდა ეკონომიკური და სოციალური პროცესების რეგულირებისა და თანამედროვე ეკონომიკურ მექანიზმებსა და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული კომუნიკაციის უნარი ადამიანებს, საზოგადოების სტრუქტურებს, კომერციულ და სახელისუფლებო რგოლებს შორის. გამომუშავებული უნარი გამოირჩევა გამართულობით, რაციონალობით, მაღალი კულტურით. ასევე გააჩნია არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში მიღებული ახალი ცოდნის დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენის უნარი, რაც მისცემს მას საშუალებას თავის კოლეგებსა და ფართო სამეცნიერო საზოგადოებას ეფექტურად და გასაგებად გადასცეს რთული და, ხშირ შემთხვევაში, სადავო ინფორმაცია, უცხოურ ენაზე.

- სწავლის უნარი

კურსდამთავრებულს უახლესი თანამედროვე ეკონომიკური მეთოდების შესწავლით და გამომუშავებული უნარების დახმარებით შეუძლია საბაზრო ეკონომიკასთან დაკავშირებული პრობლემების კვლევა და ამ პერიოდის სპეციფიკური პირობების შესატყვისი დასკვნების, ღონისძიებებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

- ღირებულებები

კურსდამთავრებულს მიღებული ცოდნისა და გამომუშავებული კვლევის უნარის შედეგად შეუძლია ამ პროგრამის ფარგლებში არსებულ ღირებულებათა (შედგენილი პროგრამა უზრუნველყოფს დოქტორანტის წინაშე წაყენებული მოთხოვნების სრულფასოვნად რეალიზაციას, რაც გამომდინარეობს მისი სადოქტორო ნაშრომიდან) დასამკვიდრებლად მოახდინოს შესაბამის ეკონომიკურ სფეროში და პედაგოგიური მოღვაწეობის პროცესში თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტების ჩამოყალიბება, და ამ ღირებულებების დასამკვიდრებლად ინოვაციური მიდგომების გამოყენება მაღალეთიკური ეკონომიკური აზროვნების დამკვიდრების პროცესში.

9. სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა

#	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	სათეზის რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით						ლექტორი	
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV	V	VI		
პროგრამის სასწავლო კომპონენტი - 60 კრედიტი													
პროგრამის სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტები - 48 კრედიტი													
1.	სწავლების თანამედროვე მეთოდები	EDUC D301	6	35	115	6							სრული პროფესორი ჯემალ ჯინჯიხაძე პედაგოგიკის დოქტორი ლელა რეხვიაშვილი
2.	აკადემიური წერა კვლევის მეთოდების კომპონენტებით	BUSS D 301	6	35	115	6							სსუ ასოცირებული პროფესორი ნინო ხარებავა
3.	მაკროეკონომიკური თეორიები	ECON D302	6	35	115	6							სსუ ასოცირებული პროფესორი მადონა გელაშვილი
4.	ეკონომეტრიკა	ECON D303	6	35	115	6							სსუ ასოცირებული პროფესორი მალხაზ კუცია
5.	პროფესორის ასისტენტობა 1	ECON D304	6	35	115				6				
6.	პროფესორის ასისტენტობა 2	ECON D305	6	35	115					6			
7.	თემატური სემინარი 1	ECON D306	6	35	115		6						
8.	თემატური სემინარი 2	ECON D307	6	35	115			6					

პროგრამის სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტები - 12 კრედიტი
(სტუდენტი არჩეული თემის მიხედვით ირჩევს შესაბამისი კონცენტრაციის ორ საგანს პირველ და მეორე სემესტრში)

9.	სახელმწიფო მართვის თეორიები	ECON D308	6	35	115	*	*						სსუ სრული პროფესორი რევაზ ხარეზავა
10.	რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა	ECON D309	6	35	115	*	*						სსუ ასოცირებული პროფესორი ჯანი ზარანდია
11.	საჯარო ფინანსების თეორია	ECON D311	6	35	115	*	*						სსუ სრული პროფესორი ზურაბ ლიპარტია
12.	გლობალიზაცია და ეკონომიკური განვითარება	ECON D312	6	35	115	*	*						სსუ ასოცირებული პროფესორი ემირ ეთერია

პროგრამის კვლევითი კომპონენტი - 120 კრედიტი

14.	სადისერტაციო კვლევის ინდივიდუალური გეგმის მომზადება/პროსპექტუსი	ECON D313	18	65	385		18						
15.	კოლოქვიუმი 1	ECON D314	24	65	535			24					
16.	კოლოქვიუმი 2	ECON D315	24	65	535				24				
17.	კოლოქვიუმი 3	ECON D316	24	65	535					24			
18.	სადისერტაციო ნაშრომის დასრულება და დაცვა	ECON D320	30	65	685							30	

სულ

180

30

30

30

30

30

30

10. კვლევითი კომპონენტი

ეკონომიკის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან არსებულ ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტზე და პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბებულ დარგობრივ მიმართულებებზე არსებობს ძირითადი სავარაუდო საკვლევო პრობლემების ჩამონათვალი, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია სადოქტორო თემის შერჩევა, მათ შორის:

- ქვეყნის, რეგიონების და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაკროეკონომიური პრობლემები.
- საბიუჯეტო ფედერალიზმის განვითარება, რეგიონთაშორისი განვითარების ეკონომიკური პირობების გამოთანაბრების პრობლემები და მათი გადაწყვეტის სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის მექანიზმი.
- სახელმწიფოს საბიუჯეტო-საგადასახადო და ფინანსური პოლიტიკის ტრანსფორმაციაში ჩამოყალიბებული ტენდეციების ანალიზი და პროგნოზირება;
- დარგობრივი ეკონომიკის განვითარების პრობლემები:
 - აგრარული წარმოებისა და მასთან დაკავშირებული გადამამუშავებელი დარგების ხელშემწყობი ორგანიზაციული, ფინანსური და ფასისმიერი პოლიტიკა.
 - სოციალური სფერო და მისი განვითარების პრობლემები.
 - სოფლის სოციალური და სოფლის მეურნეობის საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარების პრობლემების კვლევა.
 - ქვეყნისა და რეგიონების ინფრასტრუქტურული განვითარების პრობლემები.
 - ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურული სრულყოფის სტრატეგიები.
 - ეკონომიკის დარგებისა და სფეროების ცალკეული მიმართულების ასპექტები (ტერიტორიული განლაგება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ადამიანური რესურსები და ა.შ).